ი 68/656
PP 2204
ეროვნული ბიბლიოთეკა



დამატებითი ინფორმაციის
გვეწვიეთ:

www.embassies.gov.il/tbilisi
Facebook: Israel in Georgia

ისრაელის საელჩო
საქართველოში
მადლობას უხდის
საქართველოს
კულტურის
სამინისტროსა და
ს. ჯანაშიას სახელობის
ეროვნულ
მუზეუმს

# ისრაელის კინოს დღეები საქართველოში

## 3 - 5 აპრილი



სეანსების დასაწყისი:
15:30
18:00

ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის აუდიტორია
რუსთაველის გამზირი, 3

ISRAEL 65

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 3 აპრილი



### ავივა, ჩემო სიყვარულო! (2006)

რეჟისორი: შემი ზარჰინი
როლებში: ასი ლევი, როტემ აბუჰაბი, ლევანა ფინკელშტეინი

ავივა ტიბერიის ერთ–ერთ სასტუმროში მზარეულად მუშაობს და მწერლობაზე ოცნებობს. იგი წლებია, საკუთარ მოთხრობებს წერს და დღითიდღე იხვეწება. ერთ დღესაც ქალაქში ცნობილი მწერალი ჩამოდის, რომელიც ავივას ნიჭით ინტერესდება და დამწყებ მწერალს პროფესიონალად ქცევას ჰპირდება. წარმატებისა და ოცნებისკენ მიმავალი გზა ეკალ–ბარდებითაა სავსე. ავივას ცხოვრება კოშმარს ემსგავსება და იგი გადაწყვეტს, სრულიად შეიცვალოს საკუთარი შეხედულება გარშემო გამეფებულ რეალობაზე.

### ხუთი საათი პარიზამდე (2006)



რეჟისორი: ლეონიდ ტრუდოვსკი
როლებში: ვლადიმირ ფრიდმანი, დრორ ქერენი, დორით ლევ–არი, ჰელენა იარალოვა.

იგალი 12 წლის ბიჭის მამაა. ის ცოლს გაშორებული, მორიდებული და ძალიან მარტოსული ადამიანია. მას ტაქსი ჰყავს და უახლოეს მომავალში ყოფილი მეუღლის ახლანდელ ქმართან ერთად ერთობლივი ბიზნესის წამოწყებას ფიქრობს. ლინა კი მუსიკის მასწავლებელია, რომლის ექიმი მეუღლე კანადაში სტაჟირებას გადის. ლინა ყოველთვის ოცნებობდა, საკონცერტო პიანისტი გამხდარიყო, მაგრამ ოცნების ასახდებად ბევრს არაფერს აკეთებდა. სევდიან ტაქსისტს შვილის მუსიკის მასწავლებელი სიგიჟემდე მოსწონს, მაგრამ რა ქნას, თუ იგი უკვე გათხოვილია?

## 4 აპრილი



### სამყაროს აღსასრულს მარცხნივ გაუხვიე (2004) +18

რეჟისორი: ავი ნეშერი
როლებში: ნეტა გატი, ლირაზ ჩარჰი, ორ ატიკა, ჟან ბენგიგი

1969 წელი. ინდოელი ებრაელების ოჯახი ისრაელის პატარა, უდაბნოში ჩაკარგულ ქალაქში საცხოვრებლად ჩადის და კულტურულ შოკს განიცდის. სანამ უფროსები ურთიერთობის გარკვევით არიან დაკავებულები, ორ გოგოს – მაროკოელ ნიკოლსა და ინდოელ სარას შორის მეგობრობა ჩნდება. ერთ მათგანს მასწავლებლის შეცდენა უნდა, მეორეს არასდროს უცეკვია ბიჭთან. ნიკოლს დედა ეზიზღება და თავგადასავლები სწყურია, სარა კი მამას აღმერთებს და მოთხრობებს წერს. ვერც ერთი მათგანი ვერ ხვდება, რომ მათ ოჯახებში დიდი ტრაგედია ტრიალებს.

### ორ (ოქროს გოგო) (2004) +18



რეჟისორი: ქერენ იედაია
როლებში: რონით ელკაბეცი, დანა ივგი, მეშარ ქოენი

ორი 17–18 წლის გოგონაა, რომელსაც პატარაობიდან უმძიმესი ტვირთი აწევს მხრებზე. საღამოობით ის რესტორანში მუშაობს, ბოთლებსა და ქილებს აგროვებს, აბარებს და ფულს იღებს. ყველაზე რთული კი დედის, რუთის სახლში გაჩერება და თელ–ავივის ქუჩებში პროსტიტუციისგან გადაჩვევაა. დედა შვილს "ოქროს გოგოს" ეძახის, რუთი კი ორისთვის მძიმე განსაცდელია. რუთი ახლახან გამოვიდა საავადმყოფოდან და ორმა უკვე უშოვა მას სამუშაო დამლაგებლად, თუმცა ქუჩაში ნაშოვნ "ადვილ" ფულზე უარის თქმა რუთისთვის არცთუ ადვილია. ერთ დღესაც ორს შეყვარებულის დედა სთხოვს, მის შვილს დაშორდეს, რადგან ისინი "ერთმანეთის შესაფერისნი არ არიან". სიყვარული ნელ–ნელა უფერულდება, რუთის საშველიც აღარ ჩანს და ორის არჩევანი სულ უფრო ვიწროვდება.

## 5 აპრილი



### გამარჯობა, მუსიე შლომი! (2003)

რეჟისორი: შემი ზარჰინი.
როლებში: ოშრი ქოენი, არიე ელიასი, ესტი ზახეიმი.

შლომი ბარ–დაიანუ 16 წლის ბიჭია, მაგრამ თანატოლებისგან განსხვავებით ის მოხუც ბაბუას უვლის, გაუწონასწორებელ დედას ამშვიდებს, მამას ამხნევებს, დას ეხმარება და უფროს ძმას ებრძვის. ყველა დარწმუნებულია, რომ შლომი ერთი ჩვეულებრივი, შეუმჩნეველი ბიჭია, რომელიც კლასიდან კლასში ძლივს გადადის, თუმცა ერთ დღესაც ირკვევა, რომ მას უცნაური და სრულიად განუმეორებელი მათემატიკური ნიჭი აქვს.

### და შენ შეირთავ ცოლს (2004)



რეჟისორი: რონით ელკაბეცი, შლომი ელკაბეცი
როლებში: რონით ელკაბეცი, სიმონ აბკარიანი, გილბერტ მელქი.

ფილმის ისტორია ისრაელის ქალაქ ხაიფაში 1979 წელს, შაბათის დადგომამდე სამი დღით ადრე იწყება. ახალგაზრდა ქალი სამ შვილს ზრდის, სახლში მუშაობს და მკაცრ მაროკოულ ტრადიციებს შეძლებისდაგვარად იცავს. მას წინ მუდმივად ეღობება მეუღლისა და ძმების შეხედულებები, რომლებსაც უნდათ, ვივიენმა განქორწინებაზე უარი თქვას და სიყვარულსა და თავისუფლებაზე ფიქრი თავიდან ამოიგდოს. როგორ უნდა იცხოვროს ერთად ორმა ადამიანმა, რომელსაც მოვალეობისა და ტრადიციების გარდა უკვე დიდი ხანია, ერთმანეთთან აღარაფერი აკავშირებს?